ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3088107

ნომერი: AR1475560

თარიღი : 03.02.2017

გაცემის თარიღი : 16.02.2017

გაცნობის თარიღი : 16.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩაჩავა , N 2-4-6-8-10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ნარმანია პ/ნ 62001035797
- სოხუმი კიარაზის ქ. N 11 ბ. 25

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1475560 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას, გაცნობებთ შემდეგს:

დოკუმენტაციის განხილვის შედეგად არ დგინდება განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით დადგენილი არეალის საზღვრები: http://tas.ge/ რუკაზე მონიშნულია მხოლოდ ერთი საკადასტრო ერთეული N01.13.02.004.053, ხოლო წარმოდგენილ კორექტირებულ გრგ ალბომში შეყვანილია მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ/ NN01.13.02.004.139, 01.13.02.004.138, 01.13.02.004.128) არეალიც. აღნიშნული მიწის ნაკვეთების საზღვრები ფიქსირდება თავდაპირველად შეთანხმებულ გრგ პროექტში (20/1154, 29.12.2006წ.) და ქალაქთმშენებლობით პირობებში (Nკოლ-1/184, 30.10.2006წ.). ამასთან, განმარტებით ბარათში აღნიშნულია შემდეგი: „შეიცვალა ნაკვეთის კონფიგურაცია და წითელი ხაზები“.

იქიდან გამომდინარე, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმა შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებასთან/ ქალაქთმშენებლობით პირობებთან, მოთხოვნა უნდა დააყენოთ გრგ გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ან ისარგებლოთ „რუკის ცვლილების უფლების“ ღილაკით და რუკაზე მიამატოთ ის საკადასტრო ერთეულებიც, რომლებიც შედის კორექტირებული გრგ საზღვრების არეალში.

იმ შემთხვევაში, თუ აპირებთ ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანას, საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით და განაცხადი ატვირთოთ ჩვენი სამსახურის ვებგვერდზე: http://tas.ge/–ზე შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ: „მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები“, შემდეგ „განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება“.

ამასთან, დამატებითი ინფორმაციის სახით, გაცნობებთ, რომ სამსახურმა განაახლა წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიმართ მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი. აქედან გამომდინარე, წარმოსადგენია გრგ–ს კორექტირებული პროექტის სრული შემადგენლობა და არა მხოლოდ ის ნაწილი, რაც კორექტირებითაა გათვალისწინებული.

გარდა ამისა, დანართის სახით გიგზავნით იმ მოთხოვნებს, რომელთან შესაბამისობაშიც უნდა წარმოადგინოთ გრგ საპროექტო ალბომი იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს შესაძლებლობა საკითხი განსახილველად წარუდგინოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს“.

ტექნიკური გაურკვევლობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს: 237 83 46;

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.